





**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის, ლევან ბიბიჩაძის, საითინგი
2. მატჩის მეთვალყურის, გია რევიშვილის, საითინგი
3. მატჩის მეთვალყურის, გია რევიშვილის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელი, ილია მჟავანაძე, უარყოფს მისი მხრიდან მსაჯის სიტყვიერი შეურაცყოფის ფაქტს. მისი განმარტებით, თამაშის განმავლობაში რამოდენიმეჯერ მიმართა მსაჯს კონკრეტული დარღვევის არ დაფიქსირების გამო და საპასუხოდ მიიღო აგრესიული ტონით გაფრთხილება, ხოლო თამაშის დასრულების შემდეგ მსაჯმა მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 17/12/2022 გაიმართა ჭაბუკთ „ა“ ლიგის XI ტურის მატჩი ბათუმის „ბათუმი“-სა და ქუთაისის „აია“-ს შორის;
2. მატჩის მსაჯის, ლევან ბიბიჩაძის, საითინგის მიხედვით - ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელი, ილია მჟავანაძე, მის გადაწყვეტილებებზე შემახილებსა და აპელირების გამო, ჯერ გააფრთხილა, ხოლო განმეორების შემდეგ წითელი ბარათით გაამძევა მოედნის სათამაშო არეალიდან. თამაშის დასრულების შემდეგ ილია მჟავანაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა მისი სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს.
3. მატჩის მეთვალყურის, გია რევიშვილის, საითინგის მიხედვით - ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელი, ილია მჟავანაძე, მსაჯის გადაწყვეტილებების არაერთგზის გაპროტესტების გამო, მსაჯის მიერ წითელი ბარათით იქნა გამევეებული სათამაშო არეალიდან. თამაშის დასრულების შემდეგ - ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელის, ილია მჟავანაძისა და მატჩის მსაჯს, ლევან ბიბიჩაძის შორის შელაპარაკებისას, ადგილი ჰქონდა სიტყვიერად ურთიერთშეურაცხყოფის ფაქტს.

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის შემდეგ, დადგენილად ცნო ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელის, ილია მჟავანაძის მხრიდან, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის ქვევის კოდექსის დარღვევის ფაქტი -**მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა** - და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება :



## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	5 (ხუთი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	27/12/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	20/03/2023 (ჭაბუკთა „ა“ ლიგის მიმდინარე გრაფიკით, ნახევარფინალები)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიცირებულ პიროვნებას, დისკვალიფიკაციის პერიოდში ეკრძალება სათამაშო არეალში ყოფნა , რაც გულისხმობს სათამაშო მოედნის მიმდებარე არეალში (სტადიონის ტრიბუნების გარდა) ყოფნას.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	26/12/2022
--------------------------	---	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.